ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N1

დაბა ქედა **25 თებერვალი, 2026 წელი**

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:20 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - გურამ ანანიძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

25.02.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	არკადი საკანდელიძე	კომისიის წევრი	
5	მურად დიასამიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 30 იანვრის N9-95.95260303 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის თაობაზე“. განკარგულების შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიაში, განისაზღვრა 2026 წლის 24 თებერვალი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: 95-95260401; წერილის თარიღი 09.02.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: 03-95260472-95; წერილის თარიღი 16.02.2026) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცება საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:20 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტმა კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**